გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგვებად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებ შისასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და პოლიტიკური გაზეთი 1877—1890


## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც სურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაბამის ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


## „დასავლეთი“

ახალი რესტორანი, ვერაზე, მებურნეთათვის სასლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.

რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. საჭმელები ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. სასმელები ევროპიული და ჩვენებური.

სადილები დღიურად და თვიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენიერად მორთული და მოწყობილი.

ფასები ყველაფრისა იაფია.

თავმდები ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლულო.

ნ. ჩიკვაიძე და
ს. მელიძგაური

(40—10)


ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ დანიშნულია ორი პრემია საუკეთესო ისტორიულ მოთხრობისათვის, რომელიც სივრცით უნდა იყოს: პირველი არა ნაკლებ 10 ბეჭდურ თაბახისა და მეორე—5 ბეჭდურის თაბახისა. პირველ პრემიად დანიშნულია 200 მან., ხოლო მეორედ 100 მან. პრემიით დაჯილდოებულს მოთხრობას ამხანაგობა გამოსცემს არა უმეტეს 1200 ეკზემპლიარისა, რომლის გაყიდვას შემდეგ ავტორს ეძლევა ყოველივე უფლება საკუთრებისა. მოთხრობის დასაფასებლად წაკითხვის დროს მოწვეულნი იქნებიან ჩვენი საუკეთესო მწერალნი. მოთხრობანი წარმოდგენილნი უნდა იქმნან ნოემბრის 1-მდე 1891 წ. მოთხრობასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს გვარი და ადრესი ავტორისა დაბეჭდილს კონვერტში. ადრესი ქალაქს გარედ მყოფთათვის: Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. Тифлисъ.

(10—7)

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 27 ნოემბერს

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

### მტარვალი

ისტორიული ტრაგედია 5 მოქმ. თხზ. ი. ლაზარიშვილისა.

| | |
|---|---|
| მოქმედება I დაფარული სიგორტე | მოქმედება II განთავისუფლება |
| მოქმედება III ასპინძისოში | მოქმედება IV სიკვდილი მტარვალისა |

მოქმედება V

### სალხოგელა

მოქ. სწარმოებს 1770—1775 წლებში

ახალი დეკორაციები და ტანთსაცმელი

მესამე და მეხუთე მოქმედებაში მონაწილეობას მიიღებს არა ნაკლებ 60 კაცისა.

მოთამაშენი: ქქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, ტარიელოვისა, ციციშვილისა: ბ ნნი სვიმონიძე, გედევანოვი, განდელაკი, შათირიშვილი, გარეჯელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ტფილისი, 26 ნოემბერი

წინა წერილში ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ პსკოვის გუბერნიის, პორხოვის მაზრის 294 სოფლის მკვიდრთა, პანტელეევის წყალობით, ნადელები უშრომლად და უჯაფოდ შეიძინეს, გახდნენ სრული მოსაკუთრენი. რადგან ამ გარემოების გამო, პანტელეევის ნაყმევებს შეუმცირდათ სხვა-და-სხვა სახაზინო, საერო და სათემო გადასახადი ორ ნახევარჯელ მეზობლებთან შედარებით, მოსალოდნელი იყო, რომ ისინი ერთი ათად მეტს წარმატებაში შევიდოდნენ ნივთიერად. დიაღ, ეს მოსალოდნელი იყო, მაგრამ საქმით-კი სულ სხვა გამოსულა. პანტელეევის ნაყმევები არამც თუ არ გამდიდრებულან, უფრო უარესს სიღარიბეში ჩაცვივნულან, ვიდრე მათი მეზობლები, რომელთაც არავითარი შეღავათი არა ჰქონიათ სხვა-და სხვა ხარჯ-ბეგარაში. პანტელეევის ნაყმევებს თითქმის სულ მთლად გაუფლანგავთ საკუთარი მამულები, ზოგს დაუგირავებია ქალაქის ბანკებში, ზოგს იჯარით გაუცია და ზოგს მიუყიდ-მოუყიდნია. რასაკვირველია, მომეტებული ნაწილი მათის საკუთრებისა სოფლის სისხლის მწოველებისა - მედუქნე-მიკიტნების ხელში გადასულა. თვითონ გლეხნი მოსაკუთრენი, რაკი ასე უდროოდ მამულს გამოსთხოვებიან და ცხოვრების სახსარი შემოჰქლევიათ, გაფანტულან მოჯამაგირეებად, დღიურის ლუკმის საძებნელად.

ამ საკვირველს, უცნაურსა და თან სამწუხარო ამბავს მიუხწევია კერძო ეკონომიურ საზოგადოების ყურამდე და ეს უკანასკნელიც მაშინვე დაფაცურებულა, ჩარეულა პანტელეევის ნაყმევების საქმეში და მოუწადინებია, როგორმე ის მამული მაინც დაიხსნას, რომელიც ქალაქის ბანკებშია დაგირავებული და გლეხებს ცოტათიც არის აცილოს თავიდან უმამულობა. აქედან ის გამოდის, რომ უცხო გარეშე ძალა რომ არ დახმარებოდა პანტელეევის ნაყმევებს, სულით ხორცამდე დაიღუპებოდნენ და უმწეო ბოგანონი შეიქმნებოდნენ.

როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, პანტელეევის ნაყმევების საქმემ მთელი რუსეთი შესძრა და აალაპარაკა. ბევრი ჭეშმარიტი მამულიშვილი გულის კვნესით ამბობს, რომ ნუ თუ ჩვენს გლეხს არა აქვს არავითარი უნარი, რომ სხვის დაუხმარებლად თავისს თავს გაუძღვეს, იზრუნოს თავის ნივთიერ კეთილდღეობისათვის და სწორე გზა გაიკვლიოს ცხოვრებაშიო?

ბევრი იმ აზრისაა, რომ გლეხი უპატრონოდ, უგამძღოლოდ, როგორც უსუსური ბავშვი, გზას ვერ გაიკვლევს ცხოვრებაში და სადმე ბლდე-ღრეში გადიჩეხებაო; მაშასადამე, იმათის სიტყვით, საჭიროა გლეხისთვის მუდმივი მზრუნველი და ლალა. უწინ ამ გვარს ლალაობას რუსეთის გლეხს უწევდა მებატონე და დღეს-კი ჰსურთ იმის ადგილას ჩააყენონ მთავრობის მოხელე. არა გვგონია, რომ ეს აზრი საფუძვლიანი იყოს; მთავრობის მოხელე ბევრს ვერას გააკეთებს იქ, საცა კაცი თითონ არა

## ფელეტონი

### ლეონიდი თერმოპილეს.

მაშ დაშუნდო(?)დეს დიდი ათინა,
მასთან ძმა მისი, სპა[…]ა—ლომთ ბუდე;
ნულარ გვწყალობდე[…] დიდი ღმერთები,
ნულარ გვფარავდეს [მ]ათი სიმშვიდე.
იქცეს სამყარო, ჩავა[რ]დეს მთვარე,
შუქი [წ]იილოს მზეს [და] ვარსკვლავთა;
მას მერე კარგი ნუ[ღ]არა ნახონ
დეკკალიონის ჩამომავალთა,
რა[კ]ი სპარსელეს შეუშინდებით,
ანუ სიმკრელეს ვისმე ხმლისასა;
როცა სიცოცხლეს ერთს მუქას მივცემთ
მტერ-დუშმანს ჩვენის მიწა წყლისასა.
ან-კი რად გვინდა მაშინ სიცოცხლე;
არ გვირჩევნია სუ ერთს წამს გავწყდეთ,
ვიდრე ბრძოლიდამ გაქცეულები
ლაკედემონში უსირცხვოდ გაჩნდეთ?
ამჯარი მიეცეთ? იგივ არ არის?
ეგ კიდე უფრო უარესია;
არა, სანამდის ორი სიკვდილი,
ესევე ერთი უმჯობესია.
დაგვხოცენ, მაგრამ გმირთ სახელებსა
შესამუსრავად ვერ მისწვდებიან;
იქნება ჟამი, ოლიმპოზედ
კვალად ბერძნები შაიყრებიან;
კვალად გაისმის რაფსოდის ჩანგი,
ქებით გმირები ახსენდებიან.
გრძნობით ნამღერი იმათი ლექსი
გულს აუბორგებს ყველა მსმენლებსა;
მათ მოგონებით თანაგრძნობისას
დააბნევინებს მწარეს ცრემლებსა,
და კეკლუცს თითებს უკჰნობ დაფნებით
შეამკობინებს იმათ ძეგლებსა!
თუ უწინ ერთმა მანდილოსანმა
ლაშქრად აქცია მთელი ელლადა
და ათასამდის მარტო გმირები
გამოიყენა უკან მცველადა,
ნუ თუ ეხლა-კი აღარ ვინა ვართ,
რომ გამოვიდეთ ქვეყნის მხსნელადა
და არ გადავდვათ იმისთვის თავი
თუნდა კოცონზედ დასაწველადა?!
ოხ, ქსანტავ, ქსანტავ! შენი შვილები
მუდამ თვალის წინ მეხატებიან;
ვაქკაცს მევსება ცრემლით თვალები,
როცა ისინი მაგონდებიან:
აღვსილნი მართლის გულის წყრომითა
მტრისგან დამცრობას ვერ ჰრიგდებიან;
ცოლ-შვილს, ქონებას ცეცხლშია ჰბუგვენ,
თავადაც ომში იღუპებიან!
მეც კარგა ვუწყი ხვალის ფობოსი
არ გაბრწყინდება სინათლისათვის;
არც ერთი მუზა თაყვანდებულთა
გახდება რასმე მტარვალისათვის;
მაგრამ გაიგონ, რომ ჩვენაც ვიცით
ზოგჯერ სიკვდილი მამულისათვის!
შენც წადი, მგზავრო, სპარტას აუწყე:
„არვინ დარჩა თქო მანდ წამომსვლელი;
ყველა ამას იქს, ვისაც რომ უყვარს
ან შენ, ან თავის სახსენებელი“!

1887 წ. ბაჩანა

### ხალხური ლექსები

(კახეთში გაგონილი და ჩაწერილი თ. რ—ის მიერ)

მასპინძელო მხიარულო,
მარნის კარი გვიჭრიალე;
გამოგვიტა ვაზის წვენი,
პირი ჩაგვიმაჭრიანე.

—

ბაღში ვარდი გაშლილაო,
ის ფერი, სოსანიო,
საყვარელთან წასვლა მინდა,
მეზარება შორს არიო.

—

თაგვთ დაებადა ხელმწიფე,
დაარქვეს კანაფარია;
დალოცეს და ტახტზე დასვეს,
წელთ შამოარტყეს ხმალია.
იმას რომ ცოლი მოჰგვარეს,
პეწენიკ დედოფალია.
ციცას კაცი გაუგზავნეს:
„ომი გვწადიან ხვალეა“!
შემოუთვალა ციცამა,
—„არა მაქვს თქვენი ჯავრია:
არც შამიყრია ლაშქარი,
არცა მაქვს თქვენი თავია!
ფეშქაშათ მამირთმევია
გაჰდილი ჩემი ქალია“.
გაწყრა, გაჯავრდა პეწენიკ,
ზეცას აუშვა ალია:
„ჩვენ იმიჰ ქალი რად გვინდა,
ის ჩვენი მოსისხარია;
წავიდეთ და იქ დავეცნეთ,
სადაც რომ მოედანია“...
დაუთვალავში გაეიდა
ყომრელი თაგვიჰ ჯარია,
იქ დაჰხვდა მარტოკა ციცა,
მოუხდათ დიდი ომია;
სულ გაუწყვიტა მხლებლები,
გადარჩა კანაფარია.
—ახლა გემექე, კანაფო,
ვისი ცხენია ჩქარია!
ადგა გაექცა კანაფარ,
თავში მოარტყა ხმალია.
უკან კოჭლი თაგვი მოჰდევს,
ი გულ-ნატკენათ არია..
გაწყრა, გაჯავრდა პეწენიკ,
ცაში აუშვა ალია,
—შენ აქ რისათვის მორბოდი,
იქ დაგრჩენიათ ჯარია!..
—სულ გაგვიწყვიტეს მხლებლები,
დაგვიჭრეს კანაფარია...
გაწყრა, გაჯავრდა პეწენიკ,
ცამდის აუშვა ალია:
კანაფარს როგორ დაჰჭრიდენ,
მძლავრი ხელმწიფე არია.
ლოკოკინას დამიძახეთ,
ის უფრო მუხლში ჩქარია...
ლოკოკინამ გაიგონა,
ციხეს დამალა რქანია,
გარს გალავანი მოიელო,
მაგრა დაკეტა კარია.
არ იქნება და ვერ წავალ,
არ წავა ჩემი გვარია;
იქნება კიდე გავიდე,
თუ არი დიდი წყალია,
ამას იმისობაშია
მოდის კანაფარ მკვდარია.
ოცი მღვდელი გაუმძღვარეს,
სამოცი დიაკვანია;
ძროხა ბევრი დაუხოცეს,
უანგარიშო ცხვარია.
ადგა ციცა და წავიდა—
ვნახო, როგორი ლხინია;
მივიდა და გადიხედა,
გადადო თეთრი პირია.
გამოუხულეს მაჯარი,
შემოალეწეს ცხვირია,
ციცა წაიქცა დაჭრილი,
ცრემლი დაჰცვივდა წყლილი
„თაგვებო, თქვენის ხორცითა

არის-რა. ამას გარდა ძველ „პოლიციურ“ რეჟიმის განახლება მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, როდესაც საზოგადო ცხოვრებამ ასე წინ წაიწია, უხამსი და შეუფერებელი იქნება და, სარგებლობის მაგირ, უფრო მეტს ზარალს მოიტანს.

მეორე ჯგუფის მამულისშვილნი იმ აზრისანი არიან, რომ აუარებელმა სახელმწიფოს გადასახადმა ბოლო მოუღო გლეხის კეთილდღეობასაო, გლეხს თავზე ბალანი აურია და უხასიათობას შეაჩვიაო. კაველინის სიტყვით, მაგალითებრ, ამ უკანასკნელს ოც-და-ათს წელიწადს, სხვა-და-სხვა გადასახადმა ერთი-ოთხად იმატა და მოდი და გაუძელ ამოდენა ხარჯსაო.

ეს ყველა კარგი, მაგრამ ზემოდმოყვანილს უცნაურს ამბავს მაინც ვერ ახსნის რიგიანად. პანტელეევის ნაყმევებს ხომ შეუმცირდათ ერთი-სამად გადასახადი, მომეტებულს სილატაკეში რა ნაირად ჩაცვივდნენ? კაველინის აზრი საზოგადოდ მართალია, ჭეშმარიტია, მაგრამ პანტელეევის ნაყმევების საქმეს ისე არ უდგება, როგორც ცერცვი კედელს.

ჩვენ პირადად დიდად გვეძნელება გადაწყვეტილი პასუხი მივცეთ მკითხველს ამ საგნის შესახებ. თვით რუსეთის ლიტერატურასაც ჯერ რიგიანად ვერ გამოუკვლევია საქმე. ჩვენი სურვილი იყო მარტო, აღგვენიშნა ცალიერი ფაქტი და დეე მაგ ფაქტმა დააფიქროს თვით მკითხველი.

შესავსებლად სურათისა და იმის გამოსარკვევად, თუ რა ნაირად ეკიდება ჩვენი გლეხი მამულს, აქ მოვიყვანთ ჩვენის მხრის მკვლევარის, პატივცემულის მ. ნ. კურჩაევის აზრს. აი ეს აზრიც: „ქუთაისის გუბერნიის გლეხკაცობას ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ერთად-ერთი სურვილი, როგორმე შეიძინოს მამული საკუთრებად. ყოველი მათგანი, როგორც ვნებით აღსავსე ყმაწვილი კაცი, ოცნებობს და სულ იმის ნატვრაშია, რომ როგორმე იქონიოს საკუთარი ოჯახობა საკუთარს და უდავო მამულზე. ამისათვის ქუთაისის გუბერნიაში მამულის ფასი დღითი-დღე მატულობს, მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ უცარავს ხელს მებატონისაგან მამულის შეძენაში. მარტო იმერეთსა და გურიაში დროებით ვალდებულმა გლეხებმა, რიცხვით 16,318 კომლმა, შეიძინეს 210,412 ქცევა და გაიღეს ნაღდ-ფულად 3,735,849 მან. მართალია, სამეგრელოში ცოტა ნაკლებ ეტანებიან მამულებს, მაგრამ აქაც ხუთიათას კომლ კაცს უყიდნიათ 50,000 ქცევა და მიუციათ ნაღდად 700,000 მანათი. თუმცა მოყვანილნი ციფირნი მეტისმეტად საგულისხმიერონი არიან და კაცს საგონებელში ჩააგდებენ, მაგრამ ადამიანი მარტო ამ ციფირებს რომ დაენდოს, დაახლოვებით აზრსაც ვერ შეადგენს, თუ რამოდენა მამული გადადის გლეხკაცობის ხელში. მოყვანილი ციფირები შეეხება მარტო იმ მამულებს, რომელსაც იძენენ გლეხები გუბერნიის საგლეხო პრისუტსტვიის შემწეობით. რამდენს ყიდულობენ ისინი სანოტარიუსო წესით და შინაურის მორიგებით, ამის ცნობები არსად არის.

პატივცემული კურჩაევი აღნიშნავს მამულის მოპოვების საზღვარ დაუდებელს სურვილს მარტო დასავლეთის საქართველოს მკვიდრთა შორის, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს მისწრაფება საერთო თვისებაა ქართველობისა, რომელიც ძნელად თუ დასთმობს ერთხელვე როგორმე შეძენილს სახნავის, ან ვენახის ნაჭერს მიწას. სასურველია მხოლოდ, რომ მაგრად დაკავებულს მამულს რიგიანი მოვლაც ჰქონდეს და ამას ხომ სწავლა-განათლება ეჭირვება და სხვა არაფერი...

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** გუშინ, ამ თვის 26, დღესასწაულობდნენ წმ. გიორგის კავალრების დღეს. ეს დღესასწაული დაიდო 1769 წელს იმპერატრიცა ეკატერინას მეორეს მიერ. დღესასწაულისა გამო გუშინ ტფილისის კადეტების კორპუსის შეგირდებიც დათხოვნილნი იყვნენ და სწავლა არა ჰქონდათ. ამ დღეს კორპუსის ეკკლესიაში წირვის გამოსვლას შემდეგ, სამღვდელოება გამოვიდა შემოსილი ეკკლესიიდგან ლიტანიით ქვემო ალექსანდროვის ბაღში და აქ პარაკლისი გადიხადა. პარაკლისზე დაესწრნენ მრავალი გენერლობა და კავკასიის მთავარ-მართებლის მოადგილე გენერალ ლეიტენანტი გრაფ ტატიშჩევი. აქვე ბაღში შეგროვილი იყო ჯარი მუსიკით და ყველანი, რომელთაცა აქვთ წმ. გიორგის ჯვარი. პარაკლისს შემდეგ ჯარი ყაზარმებში მუსიკის დაკვრით წავიდა, ხოლო გენერლობა და წმ. გიორგის კავალრები-კი მუსიკით გაემგზავრნენ სასახლეში გრაფ ტატიშჩევთან მისალოცად და იქვე მიწვეულნი იყვნენ სასაუზმოდ.

*** კვირას, ამ თვის 25, ტფილისის პირველ კლასსიკურ გიმნაზიაში იყო წლიური აქტი. აქტი დაიწყო ნაშუადღევის პირველს საათზე. ამ დღეს გიმნაზია და მისი ეზო მშვენიერად დამშვენებული იყო ბაირაღებით. სააქტო დარბაზის კიბეებზე დაფენილი იყო წითელი მაუდი და ორივ მხრით შემკობილი იყო სხვა-და-სხვა ყვავილებითა და მცენარეებით, ბაირაღებით, მის უმაღლესობის დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოზის ძისა ალებასტრის სურათებით და სხვ. აგრეთვე მშვენიერად მორთული იყო სააქტო დარბაზი. მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის დარბაზში შესვლის დროს გიმნაზიის მოწაფეებმა იგალობეს „მეუფეო ზეცათაო" რუსულად. კავკასიის მთავარ-მართებლის გენერალ-ლეიტენანტი გრაფ ტატიშჩევის მისვლას შემდეგ დაიწყო აქტი. გიმნაზიის დირექტორმა ლ. ლ. მარკოვმა წაიკითხა წლიური ანგარიში გიმნაზიის საქმის წარმოების შესახებ. შემდეგ ამავე გიმნაზიის შეგირდებმა იგალობეს და მუსიკას უკრავდნენ. სხვათა შორის გიმნაზიის მასწავლებელმა ბატონმა ე. ა. ბოგოსლოვსკიმ წაიკითხა წერილი „Библейскія стихотворенія Л. А. Мея". შემდეგ შეგირდებს კარგის სწავლისა და ყოფა-ქცევისთვის დაურიგეს საჩუქრები. ამ წელს პირველ ხარისხის საჩუქარი მთელს გიმნაზიაში მიიღო 12-მა, მეორე ხარისხისა 41 შაგირდმა. საჩუქრების დარიგების წინად და შემდეგ გიმნაზიის ორკესტრმა დაუკრა მრავალ ჟამიერ. აქტი გათავდა სამს საათზე სახალხო საგალობელით: „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა". აქტზე დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებლის მოადგილეს გრაფ ტატიშჩევსა და საქართველოს ეგზარხოსს პალლადის გარდა მის ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე და სემინარიის რექტორი მამა ნიკოლოოზი, დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი ბარონ ნიკოლაი, სწავლა-განათლების მინისტრად ნამყოფი, ტფილისის გუბერნატორი კამერჰერი თავ. შერვაშიძე, შეიხიულ-ისლამი და მრავალი სხვა დიდ-კაცობა.

*** კვირას ტფილისიდგან გაემგზავრა სპარსეთში ერთი ინგლისელ რკინის გზების საზოგადოების წარმომადგენელი ბ-ნი არიბალდი, რომელიც აპირობს დაათვალიეროს გზები რკინის გზის გასაყვანად თეირანიდგან ქარუნამდე, სადაც ინგლისს შეუძლიან ზღვით მოიტანოს სხვა-და-სხვა საქონელი და შემდეგ რკინის გზით გაჰგზავნოს თეირანში და იქიდგან მთელს სპარსეთში მოჰფინოს.

*** ამ ხუთის ექვსის წლის წინად ტფილისის საქალაქო საბჭომ გადასწყვიტა, რა და რა სავალდებულო წესი უნდა იქმნას შემოღებული ტფილისში, რომ ქალაქი სუფთად და წესიერად იქმნას შენახული. ამ სავალდებულო წესდების მე-4, 5, 6 მუხლში ნათქვამია, რომ საზოგადოებისათვის დანიშნული აბანოები უნდა შენახული იყოს დიდის სისუფთავით ყოველ მხრივ, მაგალითად სახალხო და საერთო აუზებში მხოლოდ მაშინ უნდა შეიძლებოდეს ბანაობა, თუ აუზში წყალი მდინარეა, ესე იგი სუფთა წყალი გადმოდის შიგ და ჭუჭყიანი გადის, ნომრებში კიდევ—წყალი უნდა იცვლებოდეს ყოველთვის, როცა-კი მუშტარი გაათავებს ბანაობას; ფუთები, ერთხელ ხმარებას შემდეგვე უნდა კარგად იქმნას გარეცხილი და გამშრალი; ჭუჭყიანის საცვალის რეცხა აბანოში—ხომ აკრძალულია სრულიად. აი ასეთი სავალდებულო წესები შემოიღო ქალაქის საბჭომ. ახლა, ამ დღეებში ტფილისის პოლიცმეისტერს დაუთვალიერებია თითქმის ყველა აბანო და აღმოუჩენია, რომ ზოგიერთი აბანო მეტად უსუფთაოა და ჭუჭყიანია, ფუთები კარგად არ არის გარეცხილი, არამედ მხოლოდ წყალში გავლებულია და მერე ისე გამშრალი. ამას გარდა სუფთა და ჭუჭყიანი ფუთები ერთად აქვთ შენახული ერთსა და იმავე შკაფებში. საზოგადო აბანოებში კიდევ ჭუჭყიან საცვალსა ჰრეცხავენ. ყოველ ამის გამო პოლიცმეისტარმა მოსთხოვა ბოქაულებს, რომ ყოველ კვირა ათვალიერეთ აბანოები ქალაქის მკურნალებთან ერთად და რაც უწესობა შეამჩნიოთ, შეადგინეთ განაჩენი და მე წარმომიდგინეთო. მოსთხოვეთ აბანოს პატრონებს, რომ იქონიონ საწმენდები და სწმინდონ იმითი აუზები ნომრებისა მუშტრის თანადასწრებითა და გამოჰკიდონ განცხადებანი და ამ განცხადებაში სთხოვონ მუშტარს, რომ აბანოს მოსამსახურეებმა უთუოდ იმათ თვალწინვე სწმინდონ აუზები ნომრებისა და ფუთებიც სუფთა მიიტანონ ხოლმე. დაავალეთ აბანოს პატრონებს აგრეთვე, რომ აღკრძალონ ჭუჭყიანის სარეცხის რეცხვა აბანოებში. დასასრულ, ფასი ნომრებისა აბანოს პატრონებმა იანგარიშონ მხოლოდ იმ დროდამ, როცა აუზი გაიწმინდება მოსამსახურის—მიერო.

*** სოფ. მეჯრუხე: თითქმის მთელს გორის მაზრაში და სხვათა შორის ს. მეჯრუხევშიც მთელი ზაფხული და შემოდგომა მძვინვარებდა და ეხლაც მძვინვარებს ბავშვების ავადმყოფობა „ყვავილი." ყოველ სო-

ველარ ჩაეტკბე პირია".

—

ის ყვავილი ველისა,
მსგავსი ჩემის მწველისა,
როდის აღმოცენდება,
გული იმას ელისა.

—

თამარო ჩიქილიანო,
ვაჟები გიჩივიანო.
—არ ვიცი, არ ვინ მინახავ,
წყალშიამც ჩაცვივიანო.

—

საფრანგეთისა ატლასო,
ალინგან გადამეტიხარ;
უძირო ზღვაში ნაშობო,
ლალისგან გადამეტი ხარ;
სამოთხის ველის ყვავილო,
კვალისგან გადამეტი ხარ.
კვესით აბედის დამწველო,
ტალისგან გადამეტი ხარ.
სირმა-ვერცხლისა ტაბაკო,
ჩინეთით მოტანილი ხარ;
მკლავები შიმშას მიგიგავ,
გულ-მკერდით დახატული ხარ;
ტანი ალვის ხეს მიგიგავ,
თითები ვერცხლის ლულასა;
პირი-სახე მზეს მიგიგავ,
ლოყები ბამბის ქულასა!

—

ქალმა ვაშლი გადმომიგდო,
ამაილო უბიდამა:
ჩემეულად შაინახე:
არ გადმიგდო გულიდამა.

—

მაღლისა მაღალს მთაზედ
ქორ-შავარდენი ბუდობდა.
ქალ, ჩემი ქმარი მართალი,
შენი ქმარი-კი მრუდობდა.

—

უხერხული გუთნიჰ დედა
მეხრეებს ემუქრებოდა;
ცოტას მხნელი და მთესველი
მაღალ ღმერთს ემდურებოდა.

—

დაიძრა დემურ ყაენი,
დაადგა ხოროსანია;
წყალი არ ეყო სასმელათ
მტვარი და ალაზანია,
ბალახი საძოვნელადა,
თრიალეთისა მთანია.
ველაბრიჰ ბაზარ ჩამოხდა,
ადგილი უებარია.
დაჰცა და დაჰცა კარავი,
სვეტი ოქროსი მყავრია;
შიგ დაჯდა დემურ ყაენი,
რა ტურფა სანახავია!
სამი ბიჭი შეიკაზმა,
შალვა, ივანე ძმანია,
წავიდნენ გადაიარეს
ის ურჯულოთი მთანია.
შალვას ცხენი წამოექცა,
ვიწრო სავლელი გზანია...
სამი ქურთი ზედ მიადგა,
სამნი ძალიან მთვრალნია;
დამკა, ქურთ, ნუ გებრალები,
თუ გული გქონდეს ავია.

—

ლექსები ხალხურის „ვეფხვის-ტყაოსნისა", რომელიც კახეთშია გავრცელებული *).

ბერი მიმყვანდა ბებერი,
მიმიხაროდა ქალადა,
დავჯექ და კბილი ვუნახე,
ერთიც არ ედგა წამლადა!

—

ტარიელ, ნაზირ-ვეზირო,
სიტყვა ვერ დაგამჯობინე;
გინდოდა ლერწამ-დარეჯან,
რატომ არ შამატყობინე,
უცოდო ხელმწიფის სისხლი
კარზედ რათ დამანთხობინე...
არცა შენ მოგცე, არც იმას,
ორთავე დაგათმობინე,
დავიბარე ხუროები,
კიდობანს შევიკვრევინებ;
შიგ ჩავსვი ლერწამ-დარეჯან,
წყალს მივე წავაღებინე.
შიგ ჩაუსვამ სამსა გველსა,
თეთრსა, წითელსა და შავსა...
შავმა გველმა სთქვა: შავჭამოთ,
წითელი მოთმინებისა,
თეთრი გველი ამას ამბობს:
„მზე არის ტარიელისა!"

ტარიელი ეტყვის:

ოქსური ჩოხა ვიყიდე,
მხარზედ შავიყუთურმაჯე;
ომში ჩაველ, ჯარში გაველ,
თავი მოვიყიზილბაშე...

—

ტარიელი ეძებს თავისს მზეს, მიჰყვება წყლის კიდეს და ტირის:

მინდორო, არა მინდორო,
შენ წყალო, არაგვიანო,
არც თოფი გეკვრის არც ხმალი,
მაშ რითღა დაგაზიანო?!
იმ ქალის დაკარგვისათვის,
მწუხრვალე დაგლევ, ტიალო!

მიეწაფება ტარიელი და ზღვას მოსწყვეტავს.

კოჭლი მონა ზღვისა პირსა
მოტირის და იცემს თავსა.

ტარიელი ჰკითხავს:

კოჭლო მონავ, რა გატირებს,
ძალს ითხოვ, თუ სამართალსა?
—მე ძალისა რა შამიძლავ,
გამიყვანე ამ შავს წყალსა!

ტარიელი ზღვას დაჰშრეტს, კოჭლი მონა გავა, წავა და ხელმწიფეს ეტყვის:

ერთი ვინმე მოყმე ვნახე,
მომტირალი, ჰკვანდა გმირსა;
ვეუბნე და არ მეუბნა,
ხელი მიიფარა პირსა,
სხვა ვერა შავამჩნიე-რა,
საყვარელსა ჰტირდა ისა.

ხელმწიფე ეტყვის თავის მონებს:

ადეგით, აიყარენით,
ჩემო ლომო, და ლომ-გმირო;
—შენ, კაცო, კაცო, ვინ ხარო,
სახელი შენი გვითხარო;
ბატონ გიბრძანებს, აქ მოდი,
ჯარის წინ მძღომი შენ ხარო.
—ე მაგ ალაგთა კოშკები,
გარს ახვევია თასები;
ახლო მობძანდი, ყმაწვილო,
ვერც შორით დაგეფასებით.
ცხენი ცხენს ჰკრა, კაცი კაცსა,
გორა დადგა ცხენ-კაცისა;
ერთი ცისკენა გაგზავნა,
ჯერაც არ მოსულა ძირსა,
მონას მკლავი გამოჰგლიჯა...

*) რადგანაც „ვეფხვის-ტყაოსნის" მკვლევართათვის უმნიშვნელოდ არ მიმაჩნია ეს ლექსები, ამიტომ გავბედე და არა სრულად ჩაწერილის ვარიანტებიდამ, რომელიც გავიგონე კახეთში სრულიად და ჩაწერა-კი ვერ მოვასწარი ნახევარზე მეტისა, ამოვწერე ეს ლექსები და გგზავნი დასაბეჭდად.

კახეთში „ვეფხვის-ტყაოსნის" ვარიანტები ბლომად არის და ცუდს არ იზამენ, ვისაც ხელი მიუწვდება, რომ ჩასწერონ და მით სამსახური გაუწიონ ზემორე ხსენებულ მკვლევარებთ. ეს ვარიანტი საკმაოდ განსხვავდება სხვა ვარიანტებისაგან.

ფელში აუარებელი ბავშობა იმსხვერპლა ამ სენმა, სახლი არ გადარჩა, სადაც-კი ბავშვი იყო, რომ ყვავილი არ სდგმოდა სახლის პატრონს. თუმცა ქართულსა და ზოგიერთს რუსულ გაზეთში რამდენჯერმე იყო მოხსენებული ამ სენის გავრცელება, მაგრამ ყურიც არავის არ გაუბერტყნია და, აი, როდესაც ავადმყოფობამ მეჯრუხევის სკოლის ბავშვებსაც გაუხვა ხელი და მასწავლებელი იძულებული შეიქმნა ეცნობებინა თავისს მთავრობისთვის, მაშინ სამკურნალო მმართველობამაც მოგვაქცია ყურადღება. ამ დღეებში გუბერნატორის განკარგულებით ამ სენის შესაყენებლად, თუ მოსასპობად დანიშნული მკურნალი ბ-ნი ბახუტოვიც მობრძანდა ქართლში. სხვათა შორის, მეჯრუხევსაც ეწვია და, როგორც მცხოვრებთ, ისე სკოლის მასწავლებელთ შესაფერი დარიგება მისცა.

*** დიდი-თონეთი: ვერაფერი წელიწადი იყო ჩვენთვის თონეთელებისათვის, წლევანდელი წელიწადი. ჯერ იყო და გაზაფხულზედ ისე გაგვინადგურა სეტყვამ ჰირნახული, რომ ზამთრის საზრდო არამც თუ ჩვენთვის, ჩვენის საქონლისთვისაც-კი ვერ შევინახეთ საკმარისი. აქამდის როგორც იყო ვაძოვებდით ჩვენს ტყე მინდვრებში საქონელს, ეხლა-კი მოულოდნელად ძალიან დიდი თოვლი მოგვივიდა, და კიდევაც თოვს; ამის გამო შეუძლებელი შეიქმნა ჩვენთვის საქონლის შენახვა. კიდევ კარგ, რომ წალკელი ბერძნები იბარებენ საქონელს ზამთარში გამოსაკვებავად, თორემ იძულებულნი გავხდებოდით მუქთად მიგვეცა ვისთვისმე ჩვენი საქონელი. თონეთი ხომ მთა ადგილია, და მართალია, მთა-ადგილებში უფრო საქონლის მოშენებას მისდევენ და აქაც ოდესმე დიდ-ძალი ცხვარი, ძროხა და ღორი ჰყოლიათ, მაგრამ სოფლის ახლო-მახლო ტყეები თან და თან გაუკაფავთ და სახნავ მინდვრებად გადაუქცევიათ. ამის გამო საძოვარი ადგილები შევიწროებულია და კიდეც აუკრძალავთ აქ ღორისა და ცხვრის დაყენება. ორასამდე კომლია აქა და ამათ სუყველას ღორი სულ ერთიანად გაუწყვეტიათ. ცხვარი-კი სულ ოციოდე კომლს-და შერჩენია და აი ეს ცხვრის პატრონებიც რა მდგომარეობაში ჩაცვივნულან საძოვარის ადგილების უქონლობისა გამო: ჩამორეკავენ თუ არა შემოდგომაზედ ცხვრის პატრონები თრიალეთიდგან თონეთში ცხვარს, აქ, რადგანაც მეტის ნება არა აქვსთ, მარტო ერთი კვირა დააყენებენ და შემდეგ, საითაც იქნება, უნდა გარეკონ, ზამთარში გამოსაკვებავად. კიდევ კარგი, თუ ცხვრის პატრონი შეძლებული, გამოცდილი და აქეთ-იქით ნავალია და იცის საით შეიძლება გარეკოს ზამთრობით ცხვარი. მომეტებული ნაწილი-კი ცხვრის პატრონებისა ქალაქისკენ უზამს ხოლმე ცხვარს პირსა და იქ ჩარჩებსა და ყასბებს თითქმის ნახამედ ფასად აძლევს თავისს ცხვარს და კმაყოფილი ბრუნდება შინისაკენ იმ ნუგეშით, რომ აქაურს მოხელეებს ხელში არ ჩაუვარდა და სოფლის საყვედურიც თავიდამ აიცდინა.

აქაურ მცხოვრებლების მომეტებულს ნაწილს არ მოუვიდა მთელი ზამთრის საზრდო და ამისათვის იძულებულნი არიან აქეთ-იქით სამუშაოზედ იარონ და დღიურის ნამუშევარით გამოჰკვებონ თავიანთი ცოლ-შვილი. მოხელეების უყურადღებობამ ხომ სულ გააწყალა ეს სოფელი. ამათი უყურადღებობით გაჩნდა აქ საშინელი ქურდობა. ამ ცოტა ხანში, ვინ იცის, რამდენი რამ არ დაკარგულა! სოლო ლონდარიძესა და ანდრია მჭედლიძეს მოჰპარეს ცხენები, აბრამა ტატუაშვილის საფუტკროდამ გაიტანეს ფუტკრის სკები, თაფლი გამოიღეს და სკების ნამტვრევები მანგლისის ბილიკებზედ გადაჰყარეს. ინდოურებისა და ბატების ქურდობას ხომ თვლა აღარა აქვს. რამდენსამე გლეხ-კაცს მოჰპარეს ურიცხვი ბატი და ინდოური, ქურდობაზედ მთელი სოფელი შეიძრა და ქურდები-კი ვერ იპოვეს. მოხუცებული კაცები ამბობენ: სხვილ-ფეხის საქონლის ქურდობა უწინაც ყოფილა, მთიულები და თათრები იპარავდნენო და ეს ბატისა და ინდოურის ქურდობა-კი ჩვენს დღეში არ გაგვიგონიაო". მართალია და ამოდენა სოფელში ქურდობის ეჭვიც-კი ვერავისზედ აიღეს. ამ თვის თექვსმეტს, შუადღის უკან დაიკარგა 18 ინდოური ერთად: პატრონებმა სოფლად ბევრი ეძებეს, მაგრამ რას იპოვიდნენ, აქაურს რო არავის მოეპარა. მეორე დღეს, 17, დაუწყეს ინდოურებს ხელ-ახლად ძებნა და ახალს გზაზედ მომუშავეთაგან გაიგეს, რომ ინდოურები ვიღაც რუსებს მანგლისში გაერეკათ. მიჰყვნენ კვალზედ და კითხვა-კითხვით მიადგნენ ქურდებს მანგლისის ერთ-ერთს სახლში. ამ გაბედულობისათვის ერთს გლეხს ისე სცემეს, რომ ცემისაგან დაჟეჟილი ეხლაც ლოგინად არის ჩავარდნილი. შეშინებული გლეხები როგორც იყო მოურიგდნენ ქურდებს, რომელთაც ინდოურები უკვე დაეხოცათ და თითო ორ-ორ მანათიანს ინდოურში ოთხ-ოთხი აბაზი გამოართვეს და დაბრუნდნენ დაღონებულები თონეთისკენ.

*** 24 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, ელისაბედის ქუჩაზე ლაზარევის სახლთან იპოვნეს სამის კვირის დაბადებული ბავშვი. ბავშვი საპებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს ვართან გრიქუროვის ჩაის სასმელს დუქანში სოფ. უხუტას მცხოვრებელი მიხეილ ბურდასანაძე წაეჩხუბა სოფ. შემერის მცხოვრებელს იაკობ დავითშვილს და ხანჯლით მსუბუქად დასჭრა. დამნაშავე შეიპყრეს და დაჭრილს შემწეობა აღმოუჩინეს.

*** 25 ამ თვისას პოლიციის მეექვსე ნაწილში პოლიციელმა ფარზალი-მამად-იარ-ოღლიმ, შეიპყრო ნახიჩევნის მცხოვრებელი კიაზუმა-მამად-ოღლი, რომელმაც ამავე დღესვე პოდპოლკოვნიკს ბაგრამოვს მოჰპარა სხვა-და-სხვა ნივთეულობა და სპილენძის ჭურჭელი.

*** ამავე დღეს ტფილისის მცხოვრებლებმა გრიგოლ არუთინოვმა, გრიგოლ დიდ-ზურაბოვმა, და ბაგრატ ისაკულოვმა ანდრია კოტრინის ეტლის საკეთებელ ქარხანიდგან მოიპარეს ეტლების გასაკვრელი მაუდი ღირებული 25 მან., მაგრამ მალე მოასწრო პოლიციელმა და შეიპყრო.

*** 25 ამ თვისას საჯინიბოს ქუჩაზე არღუთინსკი-დოლგორუკოვის სახლში, ღამის 3 საათზე, ონის მცხოვრებელი არსენ ბენდიაშვილი სიმთვრალის დროს წაეჩხუბა სათადარიგო ფელდფებელს ნიკოლოოზ იასტრებოვს და მარჯვენა გვერდში დანით დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს. დამნაშავე შეიპყრეს.

*** ამავე დღეს, საღამოს 10 საათზე, ციციანოვის ქუჩაზე ფრიდმანის სახლში ოჰანეზ ხერატუროვის სადგურიდგან მოიპარეს ახალუხი, რომლის ჯიბეშიაც იყო ხუთი მანეთი. ერთი დამნაშავეთაგანი მღვდლის შვილი ალექსანდრე მაქსიმეს ძე სულხანოვი შეიპყრეს ნაქურდალითურთ. ეხლა იმის ამხანაგსაც დაეძებენ. ახალუხი და ფული პატრონს გადასცეს.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის 247 ნომერში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია, რომ ვითომ გორის მომრიგებელ განყოფილებიდამ ფული იქმნა მოპარული. არავითარი ამისთანა ამბავი არ მომხდარა, ფული განყოფილებიდამ არავის არ მოუპარავს და გამომძიებლის ხელშიაც ამისთანა საქმე არა-სწარმოებს-რა. ამიტომ გთხოვთ ამ წერილს ადგილი მისცეთ თქვენის გაზეთის ერთ-ერთს ნომერში.

მომრიგებელი მოსამართლე ა. ბუტბენკო

## რუსეთი

მინისტრთა კომიტეტის უმახლობელესს სხდომაზე განხილული იქმნება სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ წარდგენილი ვენახების საურთიერთო დაზღვევის პროექტი ფილოქსერისაგან დაზარალებისა. საცდელად ამ კანონს ჯერ ბესარაბიაში შემოიღებენ და ყველა იქაურნი მევენახე ვალდებული იქნება დააზღვიოს თავისი ვენახი, ხოლო შემდეგში-კი, თუ სასარგებლოდ დაინახავენ, სხვა ვენახიანს ადგილებშიაც დააწესებენ ამ კანონს.

— ამას წინად ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ თავ-შაქრის მკეთებელი მექარხნეები აპირობენ, პირობა შეჰკრან და თავიანთ ნაწარმოების ფასი ასწიონ რუსეთშიო. 4 ამ თვისას უკვე მოახდინეს ამ მექარხნეებმა კრება და ლაპარაკი ჰქონდათ ამ საგნის შესახებ. შაქრის მექარხნეთა წარმომადგენლების კომისიამ დაადგინა და ყველას ხელი მოაწერინა, რომ ამა და ამდენზე მეტს შაქარს არ გავყიდით და დანარჩენს ჯერ-ჯერობით საწყობებში შევინახავთ, ვიდრე შაქრის ფასი კარგად არ აიწევსო. ზედ კრებაზედვე, როცა ამის შესახებ იყო სჯა, შეეტყოთ, რომ მექარხნეები ერთმანეთს როგორღაც უნდობლად უცქეროდნენ; ამბობდნენ, შეასრულებს-კი ყველა ამ პირობასაო და პირობის დარღვევისათვის ჯარიმაც დააწესეს, მაგრამ მაინც ისე უხერხულად აქვთ შედგენილი ეს მუხლი თავიანთის ხელ-შეკრულობისა, რომ ბევრნი გადავლენ პირობას და ჩუმ-ჩუმად გაცილებით იმაზე მეტს შაქარს გაჰყიდიან, რამდენიც პირობაში უწერიათ.

— პეტერბურგის მკურნალთა ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ანრეპი 17 ნოემბერს ხელმეორედ გაემგზავრა ბერლინს, რომ განაგრძოს შესწავლა კოხის მიერ ახლად გამოგონილ ჭლექის წამლობისა. ამ მკურნალთა ინსტიტუტთან ცალკე საავადმყოფოა გამართული ჭლექით ავადმყოფებისა, მაგრამ როგორ არიან ეს ავადმყოფები, რომლებსაც კოხისებურად სწამლობენ, მკურნალები ჯერ-ჯერობით არავის ეუბნებიან, ვიდრე დაჭეშმარიტებით არ შეიტყობენ, რა ძალა აქვს და როგორ მოქმედებს კოხის მოგონილი წამალი. პროფესორი ანრეპი ერთის კვირის უკან ისევ დაბრუნდება პეტერბურგში, მანამდე ავადმყოფებსაც ან ავი შეეტყობათ ან კარგი და მაშინ მგონი ყველაფერს საქვეყნოდ გამოაცხადებენ შეგვატყობინებენ, არჩენს თუ არა კოხის წამალი ჭლექიანებს.

— მთავარმა გამგეობამ პოჩტა-ტელეგრაფისამ გადასწყვიტა, მომავალის 1891 პირველ იანვრიდამ ფინლიანდიაში შემოიღოს რუსული შაურიანი პოჩტის მარკები და ეხლანდელი ფინლიანდიური მარკებიც-კი ისევ დასტოვოს; ხოლო საზღვარ გარედ გასაგზავნს წერილებს-კი უთუოდ რუსული შვიდ კაპეიკიანი მარკები უნდა ეკრას. ფინლიანდიის საპოჩტო დაწესებულებებმა რუსული მარკები პირდაპირ რუსეთის სახელმწიფო ქაღალდების მზადებელ საექსპედიციოდგან უნდა გაიწეროს ხოლმე. რუსულის მარკების ყიდვა ფინლიანდიაში რუსულის ფულითაც შეიძლება და ფინლიანდიურითაც, კურსის მიხედვით, რომელიც ყოველს სამს თვეში ერთხელ უნდა გამოაცხადონ ხოლმე.

## უცხოეთი

გერმანია. პრუსიის საერო განათლების სამინისტროში შემდგარია კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს, რა ხასიათი უნდა ჰქონდეს შუათანასა და მაღალ განათლებას გერმანიაში. დიდხანს არავინ იცოდა ვინ იყვნენ ამ კომისიის წევრნი. მხოლოდ ამ ბოლოს დროს გამოაცხადდა 42 კაცის სახელი. მათ შორის არიან მასწავლებელნი, დირექტორები და პროფესორები უნივერსიტეტებისა, მსწავლულნი, დეპუტატები ლანდტაგისა, მრეწველნი, სასულიერო კაცნი და სხვანი. საერო განათლების მინისტრმა გამოაცხადა, რომ კომისიაში სხვა-და-სხვა მიმართულების წარმომადგენელნი არიან არჩეულნიო და საქმე ისეა ნაზრუნი, რომ ყველა გვარს მიმართულებას დაახლოვებით თანაბარი რიცხვი ჰყავს მომხრეებისაო. მაგრამ შემდეგ გამოვიდა ხმა, რომ, არა, კომისიაში უფრო ისეთები აურჩევიათ, რომელთაც კლასიკური განათლება ურჩევნიათ ყველაფერსაო. მაგალითად 14 კლასიკურ განათლების მომხრე მასწავლებელია არჩეული და რეალურ განათლების მომხრე-კი მხოლოდ 5 კაციო. ამას გარდა, მრეწველთა-შორის აურჩევიათ მხოლოდ ისინი, ვისაც უნივერსიტეტის დიპლომები აქვთ, ხოლო ამისთანანი გერმანიაში ნაკლებად არიან და ვინც არიან, ისინიც კლასიკურს განათლებას ემხრობიანო. სხვა გვარის პროფესიის წარმომადგენელნი, როგორც მაგალითად სატეხნიკო განათლებისა, სახუროთ-მოძღვრობისა, სამთო-მადნისა, ტყეთა-მოვლისა, საქალაქო დაწესებულებათა და სხვათა კომისიაში არ არიან არჩეულნიო. და აბა ამისთანა კომისიაში როგორ მოხერხდებოდა თანაბრობა სხვა და სხვა აზრის წარმომადგენელთა რიცხვისაო. გაზეთები ამბობდნენ, რომ ამისათვის დიდად სასურველი იქმნება, თუ კომისიას ნება არ მიეცემა, რომ იმისი გადაწყვეტილება სასკოლო განათლების შესახებ, უკანასკნელად და საბოლოოდ გადაწყვეტილი არ იყოსო. რაიცა შეეხება კლასიკურის განათლების უპირატესობას გერმანიაში, ამის დასამტკიცებლად გაზ. „National Zeitung"-ს მოჰყავს შემდეგი ცნობანი: 1887—1888 წ. 264 პრუსიის კლასიკურს გიმნაზიაზე და 39 პროგიმნაზიაზე მოდიოდა მხოლოდ 89 რეალური გიმნაზია და 55 სხვა სასწავლებელი ულათინუროდაო. კლასიკურს გიმნაზიაში სწავლობდა 82,865 სული ანუ 62% ყველა მოსწავლეებისაო. ყოველ წელიწადს ამ სკოლებში იღებდნენ 9,200 შეგირდს, ხოლო კურსს ასრულებდა მხოლოდ 3,600 კაცი. დანარჩენი 4,600 თავს ანებებდა სკოლას კურსის დასრულებამდეო. დღევანდელი საყურადღებო დეპეშა, 24 ნოემბრის თარიღით, ამტკიცებს, რომ იმპერატორი ვილჰელმი თვით ჩარეულა კომისიის საქმეში და დიდი წინააღმდეგობაც გაუწევია კლასიკურის განათლებისათვის.

## წვრილი ამბები

მარატი—წინამორბედი მკურნალ კოხისა. საფრანგეთის ერთმა მკურნალმა, რომელიც სამკურნალო მეცნიერების კვლევაშია, ამ დღეებში წერილი დაბეჭდა ერთს გაზეთში იმის შესახებ, თუ როგორ სწამლობდა ჭლექს მკურნალი მარატი 1777 წელს. იმ დროს მარატი ცნობილი მკურნალი ყოფილა მთელის პარიჟისა. მარკიზა ლობესპინი ავად გახდარა და ექიმებს უთქვამთ, ერთს დღესაც ვეღარ იცოცხლებსო. მოუწვევიათ მარატი. გაუსინჯავს ავადმყოფი, შეუტყვია, რომ ჭლექი ჰქონია და თავისის მოგონილის წამლით დაუწყია წამლობა. მარკიზა მორჩენილა. ამ ამბის გამო მთელი პარიჟი და იქაური გაზეთები ერთიან ალაპარაკებულან. ამბობდნენ თურმე, მარკიზამ დალია თუ არა მარატის წამალი, მაშინვე ლოგინზე მოვიდა, წონა მოემატა და კარგად შეიქმნაო. საზოგადოება ჩასცივებია მარატს, გამოაცხადე რისგან აკეთებ მაგ წამალსაო და იმასაც აუხსნია. წამალი შეზავებული ყოფილა, ნუშის რძისა და გვარჯილის მარილისაგან. ამ წამალს გარდა, მარატს სხვა სითხეც უსმევია მარკიზასთვის, მაგრამ ის-კი არ გამოუმჟღავნებია. რადგან საზოგადოებაში დიდი მღელვარება ყოფილა მეცნიერებათა აკადემიას მარატის მეორე წამალიც გაუსინჯავს, ქიმიურად გაუნაწილებია და შეუტყვია, რაც ყოფილა. როგორც ეხლა ბერლინში—კოხთან, მაშინაც ყოველის მხრიდგან აუარებელი ჭლექიანი მისულა პარიჟში მარატთან, გვიშველე და გვიკურნე შენის წამლითაო. ერთს მისვლაზე ავადმყოფები ოროლს თუმანს აძლევდნენ თურმე, მაგრამ მარატს ერთბაშად სულ ერთიან ხელი აუღია მკურნალობაზე, გამოუცხადებია, მკურნალობა მატყუარობა და მძარცველობაო, პატიოსანს კაცს არ ეკადრება ამ ხელობის მიყოლაო და საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლა დაუწყია.

— გაზეთ „Neue Freie Presse"-ში სწერია, რომ ვისბადენში ერთი ახალგაზდა მკურნალია, გვარად ლუსტიგი, რომელმაც დიდი ხანია მოიგონა ჭლექის მოსარჩენი წამალი და კიდეცა სწამლობს ავადმყოფებსა. მკურნალ ლუსტიგის წამალი გაცილებით უბრალო და ადვილი შესაზავებელია კოხისაზე. ლუსტიგი ჭლექის მოსარჩენად წებოს ხმარობს წყალ-მმარში გახსნილს. ავადმყოფს ტანზე უნდა წაუსვას ეს წამალი და მალე არჩენსო. ერიგიდი კოხსაო, ამბობს ერთი რუსული გაზეთი ამ ამბის გამო.

— გამოჩენილმა საფრანგეთის მკურნალმა ვერნეილმა მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე სთქვა, ვშიშობ, რომ მართალი იყოს, რაც ბერლინიდგან ამბავი მოდის კოხის წამლის შესახებაო. განა შესაძლებელია, რომ რამდენისამე წლის განმავლობაში გამძლიერებული და განმკვიდრებული ჭლექი რამდენსამე დღეში მორჩესო? თვითონ პასტერმა რომ მითხრას, იმასაც არ დავუჯერებ ამასაო. ჯერ პატარა, მოვუცადოთ, რომ ჩვენის მეზობლების მღელვარება დასცხრეს, მა-

ცნიერული საბუთები წარმოგვიდგინონ კოხის წამლის სინამდვილისა და მაშინ გნახოთ, რაც იქნებაო.

# დეპეშა

24 ნოემბერი

პეტერბურგი. ელეცკის ერობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ გლეხ-კაცობისაგანაც შეეძლოს მიღება პურებისა თავისს ელევატორებში განსაკუთრებულის პირობითა და რომ ამ პურებში მიეცეთ სესხად ფული ერობის თანხიდამ, ხოლო ერობის გამგეობას ჰქონდეს ნება ასე მიღებულის პურის კვიტანციები გაინაღდოს ხოლმე სახელმწიფო ბანკში.

ზოგიერთი პეტერბურგელი ვაჭარი მოურიგდა ექსპონენტებს გაჩირულის ხილისა და გახმობილის მწვანილეულობისას და სთხოვა, პეტერბურგში გამოგვიგზავნეთ ხოლმე თქვენი ხილი და მწვანილეულობაო.

რუბინშტეინს უარი უთქვამს კონსერვატორიის გამგებლის თანამდებობაზე.

ბერლინი. აქაურმა მაგისტრატმა გადასწყვიტა ვიშუამდგომლოთ, რომ რუსეთიდამ შემორეკილ იქმნას ღორები და სხვილ-ფეხი საქონელი და შემცირებულ სადამოჟნო ბაჟით.

სასკოლო რეფორმის კომისიაში იმპერატორს კრიტიკულად განუხილავს კლასიკურ განათლების ვითარება და სხვათა-შორის უთქვამს: „ფილოლოგებმა ჩაიგდეს ხელში გიმნაზიები და შეგირდებს თავს უვსებენ ცოდნით, ხოლო მათის ხასიათის გამოკეთებას და ცხოვრების მოთხოვნილებას უყურადღებოდ სტოვებენ. თვითონ მეც გამოვცადე ყველა ეგ ტანჯვა-წვალება გიმნაზიაში ყოფნის დროს. კლასიკურის გარდამეტებული სწავლა ჰბადავს პროლეტარიატს. ქვეყნის წესწყობილების გადამკეთებული ჟურნალისტები, აღზრდილნი და განებივრებულნი კლასიკების სწავლითა, კანდიდატები არიან შიმშილისა და საშიშროებასაც წარმოადგენენ სახელმწიფოსათვის. შორს ჩვენგან ლათინური! ძველ ენების მაგიერ ვასწავლოთ შეგირდებს ისტორია გერმანიისა! მე ამას იქით ნებას აღარ მივცემ, რომ ახალი კლასიკური გიმნაზიები ჰმართონ.

25 ნოემბერი

ქაირი. მემკვიდრე ცესარევიჩი თავის თანამგზავრებით დაბრუნდა ქაირს. ქედივი გაჰმართავს გამოთხოვების სადილს. ხოლო შემდეგ იქმნება სადარბაზო წარმოდგენა ფრანგულს თეატრში. ხვალ მათი უმაღლესობანი გაემგზავრებიან სუეზს და იქ ჩასხდებიან გემებში.

ლონდონი. ირლანდიის დასის უმრავლესობამ მაკკირტი აირჩია დასის თავმჯდომარედ. უმცირესობამ-კი კვლავ პარნელი აირჩია.

ბელგრადი. დედოფალმა წარუდგინა სკუპჩინას თავისი წერილი განქორწინების შესახებ.

ბერლინი. დისკონტის დაწევას იმპერიის ბანკის მიერ უნდა ველოდეთ იანვარში.

—

შეცდომის გასწორება. 1 სესხის მომგებიან ბილეთში იძლევიან 240 მანათს და არა 224 მანათსა, როგორც იყო მოხსენებული 23 ნოემბრის დეპეშაში.

26 ნოემბერი

პეტერბურგი. „С.-Петерб. Вѣд.“-ი იუწყება, რომ სამერმისო ხარჯთ-აღრიცხვის სიით გადადებული იქმნება 800,000 მან., რომელიც უნდა მოხმარდეს სხვა-და-სხვა მოსამზადებელ საქმეებს საკომერციო პორტის გაკეთებისათვის მურმანის ნაპირას და ამას გარდა შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, რომ გადადებულ იქმნას ფული, რომ ყველა საქმე პორტის გაკეთებისა ხუთის წლის განმავლობაში გათავდესო.

დაარსებულ იქმნა ახალი რუსეთის საელჩო ჯედდას. ელჩად დაინიშნა იბრაგიმოვი.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ნოემბერი.

| | მყიდველი-სა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 88 | 6 91 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 137³/₄ | 138¹/₄ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | 1 10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 224 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 217¹/₂ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 215¹/₄ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

—

# განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.



სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—დის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(40—26)



გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.



„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ . . . | 1 | „ |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკი ხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| იავნანამ რაჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| გრამატიკა ქორდანიასი . | „ | 55 |



ოქროს მედალი




თამბაქოს ფაბრიკა




ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოვო თამბაქოს თავდარიგია დაჭრილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ და სწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვასრულებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო სააძგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში.

(25—23)



სახის სილამაზე

არყის ხის ემულსია

ა. ენგლუნდის კოსმეტიკა.

ეს საშუალება გამოგონილია სახის ჭორფლისა, ლაქისა, მუწუკისა, ფერის-მჭამელასი და სხვ. წინააღმდეგ. არყის ხის ემულსის ხმარების დროს სახის კანი ძალიან ნაზი ჰხდება და სითეთრე-სისპეტაკე ეძლევა, ჭმუხვნსა და ნაყვავილარს შეუმჩნეველს აქცევს. ეს ემულსია ზამთარში დიდად საჭიროა კანის დასკდომისაგან, რომელსაც სიცივე და ყინვა გამოიწვევს ხოლმე. თითო შუშა ღირს გაგზავნით 3 მან. სიყალბის ასაცილებლად გთხოვთ, რომ ყოველს ეტიკეტზედ ნახოთ წითელის მელნით მოწერილი ა. ენგლუნდის გვარი და სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიის მარკა. უმთავრესი საწყობი იმყოფება ს.-პეტერბურგს, უმთავრესს საკოსმეტიკო ლაბორატორიაში, ა. ენგლუნდთან, ლიტეინის ქუჩაზე, 38.

5—5



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვეით . . . | 6 მ.—კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | 5 „ . . . | 5 „ 25„ |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | 4 „ . . . | 4 „ 70„ |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | 3 „ . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | 2 „ . . . | 2 „ 50„ |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | 1 „ . . . | 1 „ 75„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.



გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ქართულ წიგნების გამომცემ ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნაკი:

ქუთაისის ბანკის საქმე.

წერილები

ილია ჭავჭავაძისა.

გამოცემა ქუთათელისა.

ფასი ერთი შაური.


Доз. цен. Тифлисъ, 26-го Ноября 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე